



MES 6 19 00628993



24/05/2019

www.factcheck.ge-ს რეგიონულ
ანალიტიკოსს ნაზიბროლა რეხვიაშვილს

ქალბატონო ნაზიბროლა,

2019 წლის 22 მაისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი N617815 განცხადების პასუხად გაცნობებთ:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს დაგეგმილი იყო 14 სკოლის მშენებლობა, მათ შორის, 4 საჯარო სკოლის დასრულება და 10 საჯარო სკოლის მშენებლობის დაწყება, რომლებიც დასრულდებოდა 2019 წელს.

2018 წელს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში შევიდა ცვლილება და ქვეპროგრამიდან „საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“, ამოღებულ იქნა საჯარო სკოლების ნაწილი, იმ მიზნით, რომ საჯარო სკოლების მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოებს განახორციელებდა მუნიციპალიტეტები.

ამ საკითხზე მუშაობა ჯერ კიდევ მიმდინარეობს და ვიდრე არ იქნება საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურულ პროექტებს კვლავ ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი ამ ეტაპზე ითვალისწინებს 8 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობას, მათ შორის, 2 ახალი სპორტული დარბაზის მშენებლობას და 12 საჯარო სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოებს.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ბიუჯეტის კორექტირების პროცედურა და სამინისტროს მიერ წარდგენილია ქვეპროგრამის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კიდევ 2 სკოლის მშენებლობას და დამატებით 3 სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

2. მომდევნო წლის ქვეპროგრამაში სამუშაოთა ღირებულებები განისაზღვრება შესყიდული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე. შესაბამისად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შესაძლებელია მხოლოდ შემცირდეს ტენდერის საფუძველზე.

გარდა ამისა, სამინისტრო ახორციელებს გარდამავალ პროექტებს, რომლებიც მოიცავს ორ ან სამ წელს. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში მთლიანი პროექტის ღირებულება გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე კონკრეტული წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა, რადგან პროექტი მოიცავს ორი ან სამი წლის ბიუჯეტებს, რომლებიც ცალ-ცალკე მტკიცდება.

3. საჯარო სკოლების მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოების თანმიმდევრობა განისაზღვრება ტენდერის მეშვეობით შედგენილი სიისა და კონკრეტულ ეტაპზე შესაბამის მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების შენობების მდგომარეობის გათვალისწინებით. მიმდინარე წელს ქობულეთის მუნიციპალიტეტში (ბიუჯეტის კორექტირების გათვალისწინებით) დაიწყება 1 სკოლის მშენებლობა და განხორციელდება 7 საჯარო სკოლის სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები. რაც შეეხება სოფელ სკურას საჯარო სკოლის მშენებლობას, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შესყიდულია და მისი ქვეპროგრამაში გათვალისწინების საკითხი გადაწყდება შემდგომი წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს.

პატივისცემით,

ზაგრატ მანველიძე
მინისტრის პირველი მოადგილე

